საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ზურტაკეტი

ზურტაკეტი, ისტორიული მხარე სამხრეთ საქართველოში, ახლანდელ დმანისის მუნიციპალიტეტში. მდებარეობს გომარეთის პლატოზე, მდ. შავწყაროსწყლის (ხრამის მარჯვ. შენაკადი) ხეობაში. დას-იდან ზ-ს ესაზღვრება ჯავახეთის ქედი, ჩრდ-ით – კვირიკეთის ქედი, აღმ-ით – ხრამის ხეობა, სამხრ-ით – ლუკუნის მთა. პლატოს სიმაღლე 1200–1600 მ. ვახუშტი ბატონიშვილი (XVIII ს.) თავის „გეოგრაფიაში" ზ-ის აღწერას იძლევა, 46 სოფლის სიას კი აწერია – „გომარეთი და ზურტაკეტა". შესაძლოა ეს ფაქტიც ამ გეოგრ. ერთეულში ჩამოყალიბებულ ორ მიკროქვეყანაზე მეტყველებს. მატერ. კულტ. ძეგლებიდან აღსანიშნავია გათხრილი და შესწავლილი ყორღანები, რ-ებიც ძვ. წ. II ათასწლეულის I ნახევრით თარიღდება (ო. ჯაფარიძე). შუა საუკუნეთა ძეგლებიდან გამოირჩევა ციხე-ქვაბი და მუსის ციხე, გომარეთის ადრეული სტელები, ეკლესიების დიდი რაოდენობა, რ-თაც მნიშვნელოვანი წარწერები ახლავთ. საყურადღებოა ქარვასლის ნანგრევი სოფ. სალამალეიქის (ახლანდ. სოფ. ქარვასლა) მახლობლად; იგი, ვახუშტი ბატონიშვილის სიტყვით, ყოფილა „თამარ მეფისაგან აღშენებული ზამთარ მოგზაურთათვის". ამჟამად იქაური მოსახლეობა ნარევია (ქართველები, სომხები, თურქულენოვანი ბერძნები). უდიდესი ქართ. სოფელია გომარეთი, რ-იც ძვ. წყაროებშიც ასევე მოიხსენიება. ვახუშტი წერს: „აქა არს დაბა დიდი გომარეთი, ვითარცა მცირე ქალაქი". მხარის დაწინაურებას ხელს უწყობდა ქვემო ქართლიდან ჯავახეთისაკენ გამავალი გზა.

წყარო: ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა (საქართველოს გეოგრაფია), თ. ლომოურის და ნ. ბერძენიშვილის რედ., თბ., 1941.

ლიტ.: ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი დ., თრიალეთის უცნობი წარწერები, «საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული», 1982, ტ. 6; ჯ ა ფ ა რ ი ძ ე ო., არქეოლოგიური გათხრები თრიალეთში, თბ., 1969.

დ. ბერძენიშვილი